სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 53

2017 წლის 15 მაისი

ქ. თბილისი

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულებისა და საგრანტო კოკურსის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 10 აგვისტოს N133/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლის ირაკლი გრძელიშვილის სამსახურებრივი ბარათის (N505112, 15.05.2017) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2017 წლის სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა (შემდგომში - ფონდი) და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო გრნტების კონკურსი (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის პროგრამა და მასში მონაწილეობის პირობები ამ დანართის დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კონკურსის საპროექტო განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილე პროექტის წარმდგენ ქართველ მკვლევერთა განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
2. ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი 1
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2017 წლის 15 მაისის №53 ბრძანებით

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პროგრამა და მასში მონაწილეობის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა (შემდგომში – ფონდი) და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (შემდგომში – CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის (შემდგომში – კონკურსი) მიზანია საქართველოს და იტალიელ მეცნიერებსა და სამეცნიერო ცენტრებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, ორი ქვეყნის მკვლევართა მობილობის მხარდაჭერა, ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ფინანსური ხელშეწყობა.

2. კონკურსი ითვალისწინებს საგრანტო დაფინანსებას ორი კატეგორიის პროექტებისთვის:

ა) ერთობლივი კვლევითი პროექტები (არაუმეტეს 5 გრანტისა);

ბ) ერთობლივი სემინარები - ჩატარება/მონაწილეობა (არაუმეტეს 2 გრანტისა);

გრანტის მიმღები ქართველ და იტალიელ მეცნიერთა ჯგუფები, საკუთარ ქვეყანაში მართავენ წელიწადში ერთ სემინარს. შესაბამისად, თითოეული ჯგუფი, მასზე გამოყოფილი საგრანტო დაფინანსების ერთ ნაწილს იყენებს სემინარის ჩატარებისთვის, ხოლო მეორე ნაწილს პარტნიორის მიერ ორგანიზებულ სემინარში მონაწილეობისთვის.

მუხლი 2. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსს ადმინისტრირებას უწევს ფონდი და CNR.

2. ფონდი და CNR კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით უზრუნველყოფენ:

ა) კონკურსის გამოცხადებას CNR-სა და ფონდს შორის სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებით (შემდგომში – შეთანხმება) განსაზღვრული პერიოდულობით;

ბ) კონკურსის გამართვისა და საპროექტო განაცხადების მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას;

გ) CNR-სა და ფონდს შორის ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრული რაოდენობის გამარჯვებული საპროექტო განაცხადების გამოვლენასა და დაფინანსებას.

3.ფონდი უზრუნველყოფს:

ა) ქართველ მეცნიერთა საპროექტო განაცხადების მიღებას;

ბ) კომისიის შექმნას, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 10 აგვისტოს 133/ნ ბრძანებით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად , მეორე მხარისგან დამოუკიდებლად შეაფასებს წარმოდგენილ საპროექტო განაცხადებს;

გ) კომისიის მიერ საპროექტო განაცხადების რანჟირებული სიის მომზადებას და CNR-თან გადაგზავნას;

დ) CNR-თან ერთად გამარჯვებული საპროექტო განაცხადების გამოვლენასა და დამტკიცებას;

ე) გამარჯვებული კვლევითი პროექტების/სემინარების დაფინანსებასა და მათი შესრულების მონიტორინგს დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 3. სუბიექტები

1. ერთობლივი კვლევითი პროექტისათვის/სემინარისათვის საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებლად განაცხადს ამზადებენ და წარადგენენ პროექტში ჩართული ქართული ჯგუფი და იტალიური ჯგუფი. ქართულ ჯგუფს საპროექტო განაცხადი შეაქვს ფონდში, იტალიურ ჯგუფს - CNR-ში.

2. კვლევით პროექტში/სემინარში ჩართული ქართული ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს: მაგისტრანტი, დოქტორანტი, მაგისტრის, დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე.

3. პროექტს უნდა ჰყავდეს კოორდინატორი, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც კოორდინაციას უწევს ქართული ჯგუფის პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის ანგარიშგებაზე, მათ შორის ფინანსურზეც. ერთობლივი სემინარის საქართველოში ჩატარების შემთხვევაში გრანტის სახსრები გადაირიცხება პროექტის კოორდინატორის ანგარიშზე.

მუხლი 4. პროექტის ფორმატი და ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება

1. კონკურსი ერთობლივი კვლევითი პროექტებისათვის ითვალისწინებს პროექტში მონაწილე ქართული ჯგუფის წევრების ქვეყნის გარეთ მივლინებასთან დაკავშირებული საერთაშორისო მგზავრობის, საცხოვრებლის, ვიზისა და ყოველდღიური ხარჯების ანაზღაურებას.

2. ფონდის მხრიდან თითოეული გამარჯვებული ერთობლივი კვლევითი პროექტის მონაწილე ქართული ჯგუფისათვის, ყოველწლიურად, გამოიყოფა არა უმეტეს 3000 (სამი ათასი) ევროს ეკვივალენტი ლარში, CNR-ის მხრიდან თითოეულ გამარჯვებულ პროექტში მონაწილე იტალიური ჯგუფისათვის ყოველწლიურად გამოიყოფა არა უმეტეს 3000 (სამი ათასი) ევრო. პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.

3. კონკურსი ერთობლივი სემინარების ჩატარებისათვის ითვალისწინებს შემდეგი აქტივობების დაფინანსებას:

ა) საქართველოში სემინარის მოსაწყობად საჭირო ლოჯისტიკურ დანახარჯებს, რომლებიც შესაძლოა მოიცავდნენ დარბაზის დაქირავების ხარჯებს, მონაწილეთა ადგილობრივი (საქართველოს ფარგლებში) ტრანსპორტირების ხარჯებს, მონაწილეთა კვების ხარჯებს, სემინარის მასალების დაბეჭდვის ხარჯებს, თარჯიმნის მომსახურების ხარჯებს;

ბ) იტალიაში ჩასატარებელ სემინარში მონაწილე ქართული ჯგუფის წევრების ქვეყნის გარეთ მივლინებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო მგზავრობის, საცხოვრებლის, ვიზისა და ყოველდღიურ ხარჯებს.

4. ფონდი აფინანსებს ქართული ჯგუფების მონაწილეობას ერთობლივ სემინარებში.

5. ფონდის მხრიდან სემინარის ჩატარების დაფინანსება შეადგენს არა უმეტეს 3 000 (სამი ათასი) ევროს ეკვივალენტი ლარში.

6. ფონდი აფინანსებს პროექტებში მონაწილე ქართული ჯგუფის აქტივობებს, CNR აფინანსებს პროექტში მონაწილე იტალიური ჯგუფის აქტივობებს.

7. სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების/სასტუმროს ხარჯების შედგენისას ქართულმა ჯგუფმა უნდა ისარგებლოს „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანებით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად.

მუხლი 5. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

1. ორივე კატეგორიის პროექტიებსთვის საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებლად პროექტში ჩართული ქართული ჯგუფის მიერ ფონდში წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

ა) „სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო 2015 წლის კონკურსში“ მონაწილე პროექტის წარმომდგენ ქართველ მკვლევართა განცხადებას - (ხელმოწერით დადასტურებული).

ბ) საპროექტო წინადადებას ქართულ და ინგლისურ ენაზე, ამობეჭდილი სახით ხელმოწერილი პროექტის ქართველი ხელმძღვანელის მიერ, ასევე სრული პროექტი ელექტრონული ფორმით ჩაწერილი CD-R დისკზე, მოცემული ფორმის შესაბამისად (პროექტის ბიუჯეტი, განხორციელების გეგმა-გრაფიკი, ქართული ჯგუფის წევრთა პროფესიულ ავტობიოგრაფია - CV);

გ) ქართული ჯგუფის წევრთა მუშაობისა და აკადემიური ხარისხის/სწავლის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

3. საკონკურსო დოკუმენტაციის ფონდში წარდგენა შესაძლებელი იქნება **2017 წლის 5 მაისიდან 2017 წლის 30 ივნისის 14:00 საათამდე.**

4. ვადის გადაცილებით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია საკონკურსოდ არ განიხილება.

5. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

6. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 6. კონკურსის ეტაპები

კონკურსის ძირითადი ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) პროექტების ფონდში წარმოდგენა;

გ) შემოსული პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

დ) პროექტების შეფასება კომისიის მიერ;

ე) კომისიის მიერ შეფასებული ერთობლივი კვლევითი პროექტების/სემინარების რანჟირებული სიის გაგზავნა CNR-ში და CNR-დან ანალოგიური დოკუმენტის მიღება.

ვ) ფონდისა და CNR-ის მიერ საუკეთესო საპროექტო წინადადებებიდან დასაფინანსებელი ერთობლივი კვლევითი პროექტების/სემინარების შერჩევა.

ზ) დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტების ფონდის მიერ დამტკიცება და პროექტის მონაწილე გრანტის მიმღებ ქართველ მკვლევართა ჯგუფთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. საპროექტო განაცხადები ფონდის მიერ შესაფასებლად გადაეცემა ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილ საკონკურსო კომისიას (შემდგომში კომისია).

2. კომისია:

ა) ამტკიცებს იმ საპროექტო განაცხადების სიას, რომლებიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის შესახებ;

ბ) განიხილავს საპროექტო განაცხადებს, აფასებს მათ და ადგენს რანჟირებულ სიას;

გ) ორივე კატეგორიის პროექტების შესაფასებლად კომისია ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 10 აგვისტოს 133/ნ ბრძანებით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებით.

3. კომისიის მიერ შეფასებული ერთობლივი კვლევითი პროექტების/სემინარების რანჟირებულ სიას ფონდი უგზავნის CNR-ს.

4. ფონდი CNR-დან იღებს იტალიელი პარტნიორის მიერ ჩატარებული შეფასების საფუძველზე მომზადებულ ერთობლივი კვლევითი პროექტების/სემინარების რანჟირებულ სიას.

5. ფონდისა და CNR-ის შეთანხმებით შეირჩევა დასაფინანსებელი ერთობლივი კვლევითი პროექტები და სემინარები.

მუხლი 8. ინტერესთა კონფლიქტი

1. დაუშვებელია კომისიის წევრი იყოს პირი, რომელიც არის ამავე კონკურსის მონაწილე.

2. არ შეიძლება პროექტების დამტკიცების პროცესში მონაწილეობდეს, ან კომისიის წევრი იყოს ის პირი:

ა) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია პროექტის მონაწილეებთან ან მონაწილეობდა მათთან ერთსა და იმავე სამეცნიერო–კვლევით პროექტში ან მუშაობს ერთსა და იმავე სტრუქტურულ ერთეულში (ფაკულტეტი, ინსტიტუტი, დეპარტამენტი);

ბ) რომელმაც შესაძლოა მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;

გ) რომელსაც აქვს პროექტის თემატიკის ან კვლევის მეთოდიკის შესახებ პროექტის ავტორებისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიცია;

დ) რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე პროექტში, პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის ნათესავია, პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია, იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, შრომით ურთიერთობაშია პროექტში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან.

3. ამ დებულების მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

4. კომისიის წევრი ვალდებულია ფონდის გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს კომისიის წევრის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმებასთან დაკავშირებით.

მუხლი 9. საგრანტო ხელშეკრულება

დასაფინანსებლად შერჩეული ორივე კატეგორიის პროექტების ფონდის მიერ დამტკიცების შემდეგ, ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას ამ პროექტების მონაწილე მეცნიერთა ჯგუფებთან.

მუხლი 10. საგრანტო პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. ფონდი ახორციელებს პროექტის შესრულების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

2. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

3. ფინანსური მონიტორინგის დროს გრანტის გამცემი:

ა) ახორციელებს საგრანტო ხელშეკრულების ფინანსურ კონტროლს გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული ანგარიშის ფორმების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე, რაზეც ადგენს შესაბამის განხილვის აქტს.

ბ) ეყრდნობა გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ საგრანტო სახსრების ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რომლებიც წარმოდგენილ უნდა იქნეს ასლებისა ან/და ელექტრონული (დასკანერებული) სახით;

გ) გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე ადგენს განხილვის აქტს, რომელშიც აისახება საანგარიშო პერიოდში ავანსის სახით გადარიცხული თანხის ხარჯვის შესაბამისობა საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

4. ფინანსური მონიტორინგისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება – საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება – საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ საგრანტო ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) ნაშთად ჩაითვლება – საანგარიშო პერიოდში გაუხარჯავი რესურსი, რომელიც შესაძლოა გაიხარჯოს მომდევნო საანგარიშო პერიოდებში.

5. ფინანსური მონიტორინგისას წარმოდგენილ ანგარიშებში ისეთი ხარვეზის აღმოჩენისას, რომელიც არ არის დაკავშირებული არამიზნობრივ ხარჯთან, გრანტის გამცემი განუსაზღვრავს ხარვეზის გამოსწორების ვადას.

6. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმებას. პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას გრანტის გამცემი ეყრდნობა გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს.

7. გრანტის გამცემი არ არის პასუხისმგებელი საგრანტო პროექტის ფარგლებში მიღებულ შედეგზე;

8. გრანტის გამცემს აქვს უფლებამოსილება მოწვეული ექსპერტის მეშვეობით შეაფასოს დასრულებული საგრანტო პროექტის სამეცნიერო ღირებულება.

დანართი 2
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2017 წლის 15 მაისის №53 ბრძანებით

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

საპროექტო განაცხადის ფორმა

Consiglio Nazionale delle Ricerche

პროექტის დასახელება:	სამეცნიერო მიმართულება*:
მიუთითეთ პროექტის ტიპი: ☐ ერთობლივი კვლევითი პროექტი ☐ ერთობლივი სემინარი	
საკვანძო სიტყვები:	
პროექტის კოორდინატორი CNR-ის მხრიდან (სახელი, გვარი, თანამდებობა და სამეცნიერო წოდება):	პროექტის კოორდინატორი საქართველოს მხრიდან (სახელი, გვარი, თანამდებობა და სამეცნიერო წოდება):
CNR-ის საბაზო ინსტიტუტი/ლაბორატორია: (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	საქართველოს საბაზო უნივერსიტეტი/ინსტიტუტი: (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
ინსტიტუტის/ლაბორატორიის ტელეფონი:	უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ტელეფონი:
ინსტიტუტის/ლაბორატორიის ელ-ფოსტა:	უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ელ-ფოსტა:
პროექტის ქართველი მონაწილეები (სახელი, გვარი თანამდებობა/წოდება):	როლი პროექტში:
პროექტის ქართველ მონაწილეთა უახლესი სამეცნ. პუბლიკაციები: (მაქსიმუმ 10)	
<u>პროექტის შინაარსი</u>: აქტუალობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, მეთოდიკა, მოსალოდნელი შედეგები, კვლევის შემდგომი გაფართოებისა და მისი შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები (არაუმეტეს 5 გვერდისა)	

*) 1. ქართველოლოგიის მეცნიერებები; 2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები; 3. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები; 4. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები; 5. მათემატიკური მეცნიერებები; 6. ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები; 7. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები; 8. სამედიცინო მეცნიერებები; 9. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო; 10. აგრარული მეცნიერებები.

<u>პროექტის ბიუჯეტი</u> <u>(ფონდიდან მოთხოვნილი თანხა ევროში)</u>

№	ხარჯვის კატეგორიების ჩამონათვალი	პირველი წელი	მეორე წელი	სულ
1	საქართველოში სემინარის მოსაწყობად საჭირო ლოჯისტიკური ხარჯები (მიუთითეთ კონკრეტული ხარჯების ჩამონათვალი თითოეულის ღირებულების გარეშე)			
2	მივლინება* (მიუთითეთ კონკრეტული ხარჯების ჩამონათვალი თითოეულის ღირებულების გარეშე)			
	სულ			

*) მივლინების ხარჯი შესაძლოა მოიცავდეს: 1. საერთაშორისო მგზავრობის ხარჯებს; 2. საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯებს, არაუმეტეს 102 ევრო ყოველდღიურად; 3. საზღვარგარეთ ყოფნისას ყოველდღიურ (სადღეღამისო) ხარჯებს არაუმეტეს 45 ევრო ყოველდღიურად; 4. ვიზის ხარჯებს

<u>პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი</u>

გთხოვთ, გამოსახოთ პროექტის განხორციელების გეგმა თქვენი პროექტის ამოცანებიდან გამომდინარე (ქვემოთ მოცემულია მხოლოდ ნიმუში, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩაუმატეთ ან ამოიღეთ შესაბამისი პუნქტები). სავალდებულოა მხოლოდ ფონდში ანგარიშების წარდგენის პერიოდულობის დაცვა)

	სამუშაოები	**კვარტალი**							
		I	**II**	**III**	**IV**	**V**	**VI**	**VII**	**VIII**
1.	საკვლევი მასალების მომზადება								
2	კვლევის ჩატარება საქართველოში								
3.	კვლევის ჩატარება იტალიაში								
4.	მივლინება საზღვარგარეთ								
5.	მივლინება ქვეყნის შიგნით								
6.	კვლევის შედეგების დამუშავება და გამოქვეყნება								
7.	ანგარიშების წარდგენა*		XXX		XXX		XXX		XXX

*) თითოეული მონაწილე ქვეყნის მკვლევართა ჯგუფი ანგარიშგებას ახდენს მისი დამფინანსებელი ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

<u>პროექტის მონაწილე ქართველ მკვლევართა პროფესიული ბიოგრაფია (CV)*</u>

შეავსეთ მოცემული თანმიმდევრობით (არაუმეტეს ორი გვერდისა)

1. სახელი, გვარი

2. განათლება

	წლები	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	სპეციალობა	აკადემიური ხარისხი
1				
2				

3. სამუშაო გამოცდილება

	წლები	თანამდებობა	დეპარტამენტის/განყოფილების დასახელება	ორგანიზაციის დასახელება
1				
2				

4. პუბლიკაციების ჩამონათვალი (არაუმეტეს 5-სა)

	წელი	პუბლიკაციის დასახელება	ჟურნალის დასახელება, ტომი, ნომერი (გამომცემლობა)	პუბლიკაციის სახე (სტატია, მონოგრაფია, სახელმძღვანელო)
1				
2				

5. გამოგონებების, პატენტების ჩამონათვალი (არაუმეტეს 5-სა)*

	წელი	დასახელება	სადაა დაცული (მიუთითეთ ქვეყანა)
1			
2			

6. სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა (არაუმეტეს 5-ისა)

	წლები	როლი პროექტში	პროექტის დასახელება	დაფინანსების წყარო
1				
2				

7. საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა (არაუმეტეს 5-ისა)

	წელი	ღონისძიების დასახელება	მოხსენების სათაური	ჩატარების ადგილი
1				
2				

8. უცხო ენების ცოდნა (აღნიშნეთ შესაბამისი გრაფა)

	ენის დასახელება	საშუალოდ	კარგად	თავისუფლად
1.				
2.				

9. დამატებითი ინფორმაცია სურვილისამებრ (ჯილდოები, სტიპენდიები, სხვადასხვა სამეცნიერო ორგანიზაციების წევრობა და სხვა)

*) საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ სტრიქონები

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

PROJECT PROPOSAL FORM

Consiglio Nazionale delle Ricerche

Project title:	**Scientific field*:**
Type of the Project: ☐ **Joint research Project** ☐ **Joint Workshop**	
Keywords:	
CNR project leader (full name, title, position/occupation):	**Georgian project leader (full name, title, position/occupation):**
CNR Institute:	**Georgian Institute:**
Telephone:	**Telephone:**
E-mail:	**E-mail:**
Recent key publications of Georgian participants (max. 10):	
Team of Georgean researchers (name and position):	**Role in Project**
Project Summary: background and rationale, goal and scientific objectives, research methodology, expected outcomes, the perspective for further cooperation (max 2 pages)	
Budget requested from ShotaRustaveli National Science Foundation (EUR):	

*) 1. Georgian Studies; 2. Humanities and Social Sciences, Economical Sciences; 3. Engineering Sciences and High-tech Materials; 4. Information Technologies and Telecommunications; 5. Mathematics and echanics; 6. Physical and Chemical Sciences/Natural Sciences; 7. Life Sciences; 8. Medical Sciences; 9. Earth Sciences and Environment; 10. Agrarian Sciences.

დანართი 3
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2017 წლის 15 მაისის №53 ბრძანებით

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო გრანტების 2017 წლის კონკურსში მონაწილე პროექტის წარმომდგენ ქართველ მკვლევართა

განცხადება

წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებთ, რომ გავეცანით "სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოსა ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის" შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 10 აგვისტოს 133/ნ ბრძანებას, აგრეთვე, „სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის პირობების დამტკიცების შესახებ „სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 15 მაისის N153 ბრძანებას და ჩვენი ხელმოწერით ვაცხადებთ თანხმობას კონკურსის პირობებზე. ასევე ვადასტურებთ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს.

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩვენი პროექტი იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოსა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2017 წლის ერთობლივ სამეცნიერო საგრანტო კონკურსში.

1. პროექტის სახელწოდება: _____

2. პროექტის ტიპი (კვლევითი პროექტი; სემინარი) _____

3. პროექტის საერთო ბიუჯეტი (ევროში) _____

მათ შორის: ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ევროში) _____

4. პროექტის წარმომდგენნი:

	პროექტში მონაწილე ქართველ მეცნიერთა ჯგუფის წევრები (გვარი, სახელი)	როლი პროექტში	ხელმოწერა
1.		პროექტის კოორდინატორი/ ერთობლივი სემინარის ორგანიზატორი	
2.		(პროექტის შემსრულებელი/ერთობლივ სემინარის ორგნიზაციაში ჩართული მეცნიერი)	
3.			